საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების და დაცვის ინსტრუქცია

კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტი

კომპოზიციისა და მუსიკის ტექნოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები

საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომი

1. საბაკალავრო ნაშრომი წარმოადგენს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში

- კომპოზიციის სტუდენტის მიერ შეთხზულ მინიმუმ 8 წუთიან მუსიკალურ ნაწარმოებს 4 ან მეტი ინსტრუმენტისთვის (დასაშვებია საორკესტრო (ნებისმიერი) და მულტიმედიური ნაწარმოებებიც), რომლის მიზანია გამოავლინოს სტუდენტის შემოქმედებითი პოტენციალის ფარგლებში შესაფერისი ნოტაციის მეშვეობით საკუთარი მუსიკალური აზრის გამოხატვის უნარი დრამატურგიულად გამართულ მუსიკალურ ფორმაში საკომპოზიციო ტექნიკების და საორკესტრო ინსტრუმენტების საშემსრულებლო შესაძლებლობების ცოდნის გამოყენებით.

- მუსიკის ტექნოლოგიის სტუდენტის მიერ ციფრული მედიის მეშვეობით მომზადებულ აუდიო პროექტს წერილობითი ან ზეპირსიტყვიერი კომენტარებით ან მინიმუმ 5-6 გვერდიან ვერბალურ ნაშრომს (ესსე) პრაქტიკული აუდიო/ვიდეო ნიმუშების დემონსტრირებით (მაგალითად, აუდიო ინჟინერიაში, ელექტრო-აკუსტიკურ მუსიკაში და ა.შ.), რომლის მიზანია წარმოაჩინოს აუდიო ტექნიკის მართვის უნარი და ციფრული ტექნოლოგიების ცოდნა სტუდენტის შემოქმედებითი პოტენციალის ფარგლებში საკუთარი მუსიკალური აზრის გამოხატვისთვის და/ან აუდიო ტექნიკური მომსახურების გაწევისთვის.

2. სამაგისტრო ნაშრომი, რომელიც შესდგება ერთმანეთთან მხატვრული კვლევის მეთოდით დაკავშირებული 2 კომპონენტისგან - შემოქმედებითი პროექტი და თეზისი (25 გვერდი), რომელიც წარმოადგენს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტის მიერ დამოუკიდებლად, აკადემიური კეთილსინდისიერების და საავტორო უფლებების პრინციპების დაცვით, უახლესი საკომპოზიციო/აუდიო ტექნოლოგიური მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით შესრულებულ მუსიკალურ პროდუქტს და ვერბალურად გაფორმებულ თეზისს კვლევითი კომპონენტით (ძირითადად თვითრეფლექსიის ფარგლებში), სადაც გამოვლინდება ნაწარმოების შექმნის პროცესში და/ან აუდიო ტექნოლოგიის გამოყენებისას რაციონალურ-ინტუიციური მოვლენების ანალიზი და თვითშეფასების პრეზენტირების უნარი, შემოქმედებით/ტექნოლოგიურ იდეასთან დაკავშირებული ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი,

შეფასება და დასკვნები მხატვრულ-შემოქმედებით/აუდიო ტექნოლოგიურ ჭრილში. ნაშრომი უნდა შეიცავდეს საკომპოზიციო პრაქტიკაზე და/ან აუდიო ტექნოლოგიაზე ორიენტირებულ სიახლეს.

- კომპოზიტორი სტუდენტისთვის სავალდებულო შემოქმედებით პროექტში გამოვლინდეს სიმფონიური ორკერსტრის

შესაძლებლობების ცოდნა;

●ტექნოლოგი სტუდენტისთვის სავალდებულოა შემოქმედებით პროექტში გამოვლინდეს ელექტრო-აკუსტიკური და აუდიო/ვიზუალური ციფრული ტექნოლოგიების ცოდნა.
3. საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომს სტუდენტი ასრულებს ინდივიდუალურად, ხელმძღვანელის მითითებების გათვალისწინებით;
4. საბაკალავრო ნაშრომი მოიაზრებს პრაქტიკულ შემოქმედებით/ტექნოლოგიურ სამუშაოს. 5. სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს პრაქტიკულ შემოქმედებით და/ან ტექნოლოგიურ სამუშაოს კომპოზიციის და აუდიო ტექნოლოგიის სფეროს მიმართულებებში, რომელიც შეიცავს კვლევით კომპონენტს, შესაძლებელია, მულტი- და ინტერ-დისციპლინურ ჭრილში.

მუხლი 2. საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი
1. საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი - ხელმძღვანელობს სტუდენტის მუშაობას, ეხმარება მას, ინტერესის შესაბამისად, ნაშრომის თემატიკის შერჩევასა და ჩამოყალიბებაში, მხატვრული იდეის ფორმირებაში და მუსიკალური აზრის გამოსახატავად საკომუნიკაციო გზების მოძიებაში, ინსტრუმენტული შესაძლებლობების, საორკესტრო, სტილური და/თუ სხვადასხვა ტიპის აუდიო ტექნოლოგიური პრობლემების გადაწყვეტაში, პრაქტიკული თუ კვლევის საკითხისადმი მრავალწახნაგოვანი ხედვის ჩამოყალიბებაში და საკუთარი ნაშრომისთვის საჭირო მხატვრულ შემოქმედებითი თუ კვლევითი მეთოდოლოგიის შერჩევაში.
2. სტუდენტს საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე შეიძლება ჰყავდეს ერთზე მეტი ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს ნაშრომის თემატიკის შესაბამისი პრაქტიკული მხატვრულ-შემოქმედებითი/სამეცნიერო კვლევითი გამოცდილება;
3. ერთი აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ შესაძლებელია ერთდროულად 3 სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა.
4. საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს კონსერვატორიის აკადემიური პერსონალი და/ან მოწვეული პირი, რომელსაც აქვს შესაბამის სფეროში პედაგოგიური/პრაქტიკული გამოცდილება, სასურველია სამაგისტრო ნაშრომის ერთ-ერთ ხელმძღვანელს ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ხარისხი.
5. ნაშრომის ხელმძღვანელის ფუნქციაა უზრუნველყოს ნაშრომის შემოწმება პლაგიატზე რეცენზენტისთვის წარდგენამდე.
6. ხელმძღვანელი უფლებამოსილია პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში ერთხელ დაუბრუნოს ავტორს ნაშრომი და მისცეს რეკომენდაციები.
7. ნაშრომის საბოლოო ვერსიაში პლაგიატის დადასტურების შემთხვევაში ნაშრომი არ ფასდება და სტუდენტს ერთმევა იმავე ნაშრომის გადამუშავების და წარდგენის უფლება.

მუხლი 3. საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტი
1. საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის (ორივე კომპონენტის) რეცენზირების მიზნით ინიშნება ერთი რეცენზენტი, რომელსაც

აქვს საკვლევი თემის შესაბამისი პრაქტიკული და/ან სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება; 2. საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტი შეიძლება იყოს კონსერვატორიის აკადემიური პერსონალი ან მოწვეული პირი, რომელსაც აქვს შესაბამის სფეროში აღიარებული პრაქტიკული გამოცდილება და მაგისტრის ან დოქტორის აკადემიური ხარისხი.
3. რეცენზენტი საბაკალავრო ნაშრომს აფასებს 30 ქულიან სისტემაში (იხ. დანართი 2ა, 2ბ, 2გ) 4. რეცენზენტი სამაგისტრო ნაშრომს (თითოეულ კომპონენტს, შემოქმედებით პროექტს და თეზისს, ცალცალკე) აფასებს 50 ქულიან სისტემაში (იხ. დანართი 2ა, 2ბ, 2გ)

მუხლი 4. სტუდენტის კონსულტანტი
1. საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის შემუშავების მხარდაჭერისა და კვლევის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით სტუდენტს უფლება აქვს საკვალიფიკაციო ნაშრომისათვის განსაზღვრული სემესტრის წინა პერიოდში (საბაკალავროს შემთხვევაში მე-7 სემესტრში, სამაგისტროს შემთხვევაში მე-3 სემესტრში) მოითხოვოს საკონსულტაციო საათები სასურველ პრაქტიკოს და/ან სამეცნიერო ხელმძღვანელთან;
2. კონსულტაცია წარმოადგენს ექსტრაკურიკულურ კვლევით აქტივობას, რომლის მიზანია უზრუნველყოს სტუდენტის მხარდაჭერა მხატვრულ-შემოქმედებით/საკვლევ თემატიკასთან დაკავშირებულ სპეციფიკურ საკითხებში, რომელშიც სავარაუდო შემოქმედებითი პროექტის თემის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე სტუდენტს შესაძლოა ესაჭიროებოდეს სიღრმისეული ცოდნისა და უნარების შეძენა;
3. კონსულტაციები შესაძლოა განხორციელდეს 15 საკონტაქტო საათის ფარგლებში საბაკალავრო საფეხურის მე-6 სემესტრში, ხოლო სწავლების ამავე საფეხურის მე-7 სემესტრში და სამაგისტრო პროგრამის მე-3 სემესტრში – 30 საკონტაქტო საათის ფარგლებში, რაც გათვალისწინებულ უნდა იქნას პერსონალის დატვირთვაში.
4. კონსულტანტის შერჩევის მიზნით სტუდენტი განცხადებით მიმართავს კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის დეკანს, სადაც ასაბუთებს კონსულტანტის დანიშვნის საჭიროებას.
5. ფაკულტეტის დეკანი, განაცხადისა და კონსულტანტის მიერ წარმოდგენილი საკონსულტაციო გეგმის (იხ. დანართი №1) საფუძველზე განიხილავს სტუდენტისათვის კონსულტანტის დანიშვნის საკითხს და ამზადებს შესაბამის სამართლებრივ აქტს.
6. სტუდენტი ვალდებულია კონსულტაციების დასრულების შემდეგ მოამზადოს და წარადგინოს შედეგების ანგარიში შესაბამის მიმართულებაზე.

მუხლი 5. საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის და ნაშრომის თემის შერჩევისა და დამტკიცების წესი
1. საბაკალავრო ნაშრომი წარმოადგენს თავისუფალი შემოქმედებითი პროცესის პროდუქტს, რომელიც 4 წლიანი სწავლების პერიოდში შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკაში გამოყენების შედეგს წარმოადგენს, როგორც საკომპოზიციო, ასევე მუსიკის ტექნოლოგიის სპეციალობებზე. ნაშრომი მზადდება სპეციალობის საგნის მოთხოვნების შესაბამისად, სპეციალობის პედაგოგთან შეთანხმებით, რომელიც ამავდროულად მისი ნაშრომის ხელმძღვანელია.

2. საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის არჩევა ხდება სტუდენტის მიერ და მტკიცდება შესაბამისი მიმართულების სხდომაზე;

3. სამაგისტრო ნაშრომის, ე.წ. შემოქმედებითი პროექტის და თეზისის თემის შერჩევა ხორციელდება სტუდენტის მიერ ნაშრომის ხელმძღვანელთან/ხელმძღვანელებთან შეთანხმებით და მტკიცდება მიმართულების სხდომაზე; 4. მიმართულების სხდომაზე დამტკიცებული სამაგისტრო ნაშრომის სახელწოდება და ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები მტკიცდება კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის საბჭოზე აკადემიური კალენდრით განსაზღვრული სალექციო პერიოდის დაწყებიდან არაუგვიანეს ორ კვირაში ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით;

5. სამაგისტრო ნაშრომის სახელწოდების დაზუსტების შემთხვევაში სტუდენტსა და ხელმძღვანელს/ ხელმძღვანელებს აქვთ შესაძლებლობა შესაბამის მიმართულებაზე წარადგინონ დაზუსტებული სათაური დასამტკიცებლად არაუგვიანეს სემესტრის დასრულებამდე 30 კალენდარული დღისა;

6. სამაგისტრო ნაშრომის თემის ცვლილების შემთხვევაში სტუდენტი და ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები ვალდებულია შესაბამის მიმართულებაზე წარმოადგინონ ახალი შემოქმედებითი პროექტის და თეზისის სათაური, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინება კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის საბჭოს არაუგვიანეს სემესტრის დასრულებამდე 60 კალენდარული დღისა;

7. რეცენზენტის შერჩევა და დამტკიცება ხორციელდება შესაბამისი მიმართულების სხდომაზე;

მუხლი 6. საბაკალავრო ნაშრომის წარდგენის მოთხოვნები

1. კომპოზიციის სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს:

დიდი შემადგენლობის ანსამბლისთვის დაწერილი მინიმუმ 8 წუთიანი ნაწარმოების პარტიტურა შესრულებული მუსიკალური ნოტაციის პროგრამაში (Finale, ან Sibelius) და კომისიას წარუდგინოს ამობეჭდილი სახით და/ან pdf ფორმატში დამახსოვრებულის პრეზენტირება მოახდინოს კომპიუტერის მონიტორზე. სასურველია პარტიტურას ახლდეს ნაწარმოების ცოცხალი შესრულების ან ციფრული ვერსიის აუდიო/ვიდეო ჩანაწერი. სტუდენტი ვალდებულია ვერბალურად ახსნას წარმოდგენილი კომპოზიციის მხატვრული იდეა და ამ იდეის ხორცშესხმისთვის მიღებული გადაწყვეტილებები.

2. მუსიკის ტექნოლოგიის სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს:

- ციფრული მედიის მეშვეობით მომზადებული აუდიო/აუდიო-ვიზუალური პროექტი მოკლე კომენტარებით, რაც გულისხმობს წარმოდგენილი პროექტის/კომპოზიციის მხატვრული იდეის ხორცშესხმისთვის მიღებული გადაწყვეტილებების ვერბალურად ახსნას (წერილობით ან ზეპირსიტყვიერად).

- მინიმუმ 5-6 გვერდიანი ვერბალური ნაშრომი (ესსე) პრაქტიკული აუდიო/ვიდეო ნიმუშების დემონსტრირებით (მაგალითად, აუდიო ინჟინერიაში, ელექტრო-აკუსტიკურ მუსიკაში და ა.შ.)

მუხლი 7. სამაგისტრო ნაშრომის, ე.წ. შემოქმედებითი პროექტის წარდგენის და თეზისის გაფორმების წესი

შემოქმედებითი პროექტი:

- კომპოზიციის საგანმანათლებლო პროგრამის სამაგისტრო ნაშრომის ძირითადი მოთხოვნაა სიმფონიური ორკერსტრისთვის შექმნილი დიდი ფორმის ნაწარმოების (არანაკლებ 15 წუთისა) პარტიტურის წარმოდგენა საგამოცდო კომისიის წევრებისთვის. დასაშვებია შემოქმედებითი პროექტის ცოცხალი შესრულების ჩანაწერის ან კომპიუტერული ვერსიის წარდგენა (წარმოდგენილ ნაწარმოებს უნდა ერთვოდეს მოკლე ანოტაცია წერილობით და/ან ზეპირსიტყვიერად);
- მუსიკის ტექნოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის სამაგისტრო ნაშრომის ძირითადი მოთხოვნაა ელექტრო აკუსტიკური და აუდიო/ვიზუალური ციფრული ტექნოლოგიებით შექმნილი მხატვრული ნიმუშის საკონცერტო წარმოდგენა და/ან აუდიო ინჟინრული "პერფორმანსი".

თეზისი:

1. ნაშრომის მოცულობა უნდა შეადგენდეს მინიმუმ 25 გვერდს, რაოდენობაში იგულისხმება ნაშრომის თავფურცელი, სარჩევი, გამოკვლევის ტექსტი და გამოყენებული ლიტერატურა;
2. სამაგისტრო ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლების ენაზე.
3. სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულ უნდა იქნას ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის APA ციტირების სტილის შესაბამისად.
4. ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იყოს Microsoft Word-ის ფორმატში (doc/docx ფორმატში). ფაილის სახელწოდებად გამოტანილი უნდა იყოს ავტორის გვარი, სახელი, მაგალითად: Maia.Metreveli.doc. ნაშრომის სრული ქართულენოვანი ტექსტი იკრიბება Sylfaen-ის, ხოლო ინგლისურენოვანი ტექსტი Times New Roman გარნიტურის გამოყენებით 12 ზომის შრიფტით და სტრიქონებს შორის 1.5 ინტერვალით. ფურცლის არესა და ტექსტს შორის მანძილი უნდა შეადგენდეს მარცხენა მხარეს 3 სმ, ხოლო მარჯვენა მხარეს – 1 სმ. ზედა და ქვედა არეებიდან დაშორება უნდა შეადგენდეს 2-2 სანტიმეტრს. ნაშრომის გვერდები უნდა იყოს დანომრილი და ჩაბარდეს აკინძული სახით.
5. სქოლიო შესაძლოა გამოყენებულ იქნას შენიშვნის და/ან კომენტარის გაკეთების მიზნით და განთავსდეს თავის/ქვეთავის ბოლოს. სქოლიოს შრიფტის ზომა - 10. სქოლიოს ნუმერაცია წარმოებს სიმბოლოებით ან არაბული ციფრებით, რომელიც შესაძლოა დაიწყოს ყოველ გვერდზე თავიდან ან იყოს გამჭოლი.
6. ნაშრომი წარმოდგენილ უნდა იყოს შემდეგი სტრუქტურის შესაბამისად:

- სატიტულო გვერდი (იგივე, თავფურცელი);
- განაცხადი;
- აბსტრაქტი (ქართულად და ინგლისურად);

- სარჩევი;
- შესავალი (კვლევის მიზნები, ამოცანები, საკვლევი პრობლემის აქტუალობა, კვლევის საგანი და ობიექტი, სიახლე);
- ლიტერატურის მიმოხილვა;
- მეთოდოლოგია;
- კვლევის დამაბრკოლებელი ფაქტორები (არსებობის შემთხვევაში);
- ძირითადი ნაწილი;
- შედეგები და დასკვნა;
- გამოყენებული ლიტერატურა;
- დანართები, როგორებიცაა სანოტო ნიმუშები, სქემები, ფოტოები, აუდიო-ვიდეო მასალა და სხვ. (არსებობის შემთხვევაში);

7. სტუდენტის ნაშრომის სატიტულო გვერდი უნდა შეიცავდეს ნაშრომის სათაურს, ავტორის სახელს და ინსტიტუციის სრულ სახელწოდებას, ხელმძღვანელის სახელს, გვარს და შესრულების თარიღს. ნაშრომის სათაური დაწერილი უნდა იყოს გვერდის ცენტრში, მუქი შრიფტით. სათაური შეიძლება შეიცავდეს ერთ ან ორ სტრიქონს. სტრიქონებს შორის დაცული უნდა იყოს მანძილი ორმაგი ინტერვალით. სატიტულო გვერდზე არ გამოიყენება ხაზგასმული, დახრილი ან გამუქებული ტექსტი.
მხოლოდ სათაური შეიძლება იყოს მუქი შრიფტით. გვერდის დანომრვა უნდა მოხდეს ზედა მარჯვენა კუთხეში, სატიტულო გვერდის ჩათვლით;
8. სათაურის ქვეშ უნდა მიეთითოს ავტორის სახელი და გვარი (მაგ., გიორგი დევდარიანი / George Devdariani), წოდებების ან/და ხარისხების გარეშე (მაგ: ბაკალავრი, მაგისტრი).
9. ავტორის სახელის ქვეშ მიეთითება: იმ მიმართულების და ფაკულტეტის დასახელება, სადაც ავტორმა ჩაატარა კვლევა, რასაც მოჰყვება უნივერსიტეტის სახელი, გამოყოფილი მძიმით (მაგ. მუსიკის ტექნოლოგიის მიმართულება, კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტი, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია), კურსის დასახელება და ნომერი, ხელმძღვანელის სახელი, გვარი და შესაბამისი წოდება (დოქტორი, პროფესორი), ნაშრომის შესრულების დრო (თვე მიეთითება სიტყვიერად, მაგ: ნოემბერი 20, 2021). სტუდენტური ნაშრომი არ უნდა შეიცავდეს
ავტორის შენიშვნას (სრული ნიმუში იხილეთ აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის დანართში №2.1); 10. განაცხადი - წარმოადგენს ნაშრომის სტრუქტურის ნაწილს, რომელიც მოსდევს სატუტულო გვერდს და იწერება ცალკე, დამოუკიდებელ გვერდზე. განაცხადში წარმოდგენილია სტანდარტული ტექსტი, რომლითაც ავტორი აცხადებს, რომ იცავს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებსა და სტანდარტებს. მაგ: „როგორც წარდგენილი საბაკალავრო
ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცვას სხვა ავტორების მიერ აქამდე

გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესის შესაბამისად.“ ავტორის სახელი და გვარი (თვე, რიცხვი, წელი). 11. აბსტრაქტი - არის კვლევის მოკლე ანოტაცია. იწერება განაცხადის შემდეგ, ახალ გვერდზე. აბსტრაქტი უნდა შეიცავდეს მოკლე ინფორმაციას საკვლევი თემის და დასკვნების შესახებ. აბსტრაქტის მოცულობა შესაძლოა მერყეობდეს 100-დან 300 სიტყვამდე. ხაზებს შორის დაცული უნდა იყოს 1.5 ინტერვალი. სასურველია აბსტრაქტში არ იქნას გამოყენებული ციტირება. აბსტრაქტის ბოლოს წარმოდგენილი უნდა იქნას საკვანძო სიტყვები (მაგ: საკვანძო სიტყვები: სამუსიკო განათლება, საშემსრულებლო ხელოვნება, ფორტეპიანო, პედაგოგიკა), რომლებიც დაინტერესებულ პირებს საშუალებას აძლევს იპოვონ ნაშრომი ელექტრონულ მონაცემთა ბაზებში. სავალდებულოა ნაშრომის აბსტრაქტი წარმოდგენილი იყოს ქართულ და ინგლისურ ენაზეც;

12. სარჩევი - შედგება თავებისა და ქვეთავებისაგან, რომელთაც თან ახლავთ შესაბამისი გვერდების ნომრები. სარჩევი განთავსებულია აბსტრაქტის შემდეგ და იწყება ახალი გვერდიდან. სარჩევი უნდა გაფორმდეს ძირითადი ტექსტის გაფორმებისთვის დადგენილი სტანდარტის შესაბამისად;

13. შესავალი - ისევე როგორც დასკვნა, მნიშვნელოვან როლს ასრულებს და შეიცავს შემდეგ აუცილებელ ინფორმაციას კვლევის მიზნები, ამოცანები, საკვლევი პრობლემის აქტუალობა, კვლევის საგანი, ობიექტი და სიახლე; 14. ლიტერატურის მიმოხილვა - არის კვლევითი ნაშრომის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი. აქ ხდება პირველწყაროების ან მეორეული წყაროების მიმოხილვა, რათა ავტორმა დაგვანახოს აქამდე არსებული კვლევები, მოსაზრებები, დებულებები და ხედვა, რაც შესაძლოა არსებობდა დღემდე იმ საკითხთან დაკავშირებით, რასაც ის იკვლევს. ასევე შესაძლებელია ეს იყოს პირველწყაროებისა და მეორეული წყაროების კრიტიკული ანალიზი. ლიტერატურის მომიხილვა იწყება ახალი გვერდიდან. ლიტერატურის მიმოხილვაში წარმოდგენილი ციტირება უნდა შესრულდეს APA სტილის მიხედვით, აკადემიური კეტილსინდისიერების პოლიტიკის დანართში მითითებული მაგალითების შესაბამისად; 15. მეთოდოლოგია – ავტორმა დაწვრილებით და გასაგებად უნდა ახსნას კვლევის მხატვრულ-შემოქმედებით და პრაქტიკულ ნაწილთან კავშირი და ინტეგრირების პროცესში გამოყენებული მეთოდოლოგია. ამ ნაწილში მკითხველი უნდა დარწმუნდეს, რომ მეთოდოლოგია შესატყვისია მოცემული საკითხის საკვლევად.

16. კვლევის დამაბრკოლებელი ფაქტორები (ე.წ. Limitations, ასეთის არსებობის შემთხვევაში) - აღნიშნულ ნაწილში ავტორმა უნდა წარმოადგინოს კვლევის ფარგლებში დაფიქსირებული ობიექტური ფაქტორები, რომლებმაც შეაფერხა კვლევა;

17. ძირითადი ნაწილი - უნდა ასახავდეს კვლევის პროცესს, წარმოდგენილი იყოს თანმიმდევრული მსჯელობით, რომლის შედეგადაც კეთდება დასკვნები.

18. შედეგები და დასკვნა - უნდა ასახავდეს კვლევის მიღწევების თეზისებს, რომლებიც შესაძლოა წარმოდგენილი იყოს როგორც ნარატივის, ასევე ცხრილების, გრაფიკების, სტატისტიკური და/ან სხვა მაჩვენებლების სახით, რომლებიც განმარტავენ გამოვლენილ ძირითად კანონზომიერებებს. საბოლოოდ, ავტორი აჯამებს კვლევას, ახდენს შედეგების ინტერპრეტირებას და წარმოადგენს დასკვნებს.

19. ბიბლიოგრაფია - გაფორმებული უნდა იყოს APA სტილის მიხედვით აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის დანართში №2.3 მოცემული მაგალითების მიხედვით.

მუხლი 8. საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პროცედურა და შეფასება

1. საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისია იქმნება რექტორის ბრძანებით. კომისია დაკომპლექტებულია ფაკულტეტის სხვადასხვა მიმართულების პროფესორებითა და ასოცირებული პროფესორებით. შესაძლებელია კომისიის თავმჯდომარე ან/და მისი წევრი იყოს მოწვეული სპეციალისტი. კომისიის შემადგენლობა წარმოდგენილ უნდა იქნას არანაკლებ 3 წევრით, რომელთა შორის არ უნდა იყოს ნაშრომის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და რეცენზენტი. ნაშრომის ხელმძღვანელი/ხელმძღანელები არ მონაწილეობენ კომისიის კენჭისყრის პროცესში.

2. სამაგისტრო ნაშრომის ორივე კომპონენტს (შემოქმედებითი პროექტი და თეზისი) აფასებს ერთიდაიგივე კომისია; 3. საბაკალავრო ნაშრომის შეფასება მოიცავს ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასებას (40 ქულის ფარგლებში), რეცენზენტის შეფასებას (30 ქულის ფარგლებში) და დაცვის კომისიის შეფასებას (30 ქულის ფარგლებში)

4. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება მოიცავს რეცენზენტის შეფასებას (50 ქულის ფარგლებში) და დაცვის კომისიის შეფასებას (50 ქულის ფარგლებში)

5. ნაშრომის დაცვაზე სტუდენტს შესაბამის კომპონენტებში აფასებს კომისიის თითოეული წევრი დაცვის დასრულებისთანავე, საბოლოო შეფასება კი გამოითვლება თითოეული კომისიის შეფასების საშუალო არითმეტიკულით. 6. საბაკალავრო ნაშრომს დაცვის კომისია აფასებს 30-ქულიან სისტემაში, რომლისთვისაც შემუშავებულია რამდენიმე პუნქტიანი შეფასების ბიულეტენი განსაზღვული კრიტერიუმების ნუსხით და ქულების მითითებით (იხ. დანართი 2ა, 2ბ). 7. საბაკალავრო ნაშრომის საბოლოო ნიშანი გამოითვლება: ხელმძღვანელის შეფასების (40 ქულის ფარგლებში), დაცვის კომისიის მიერ 30-ქულიან სისტემაში შეფასებული ქულისა რეცენზენტის ქულის ჯამით.

8. სამაგისტრო ნაშრომის თითოეული კომპონენტს დაცვის კომისია აფასებს ცალ-ცალკე 50-ქულიან სისტემაში, თითოეული კომპონენტისთვის შემუშავებულია რამდენიმე პუნქტიანი შეფასების ბიულეტენი განსაზღვული კრიტერიუმების ნუსხით და ქულების მითითებით (იხ. დანართი 3).

9. სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო ნიშანი გამოითვლება ორივე კომპონენტის შეფასების საშუალო არიტმეტიკულით, რომელიც დაჯამდება რეცენზენტის ქულასთან.

10. ნაშრომის დაცვის შედეგები ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის წევრები თავმჯდომარე და მდივანი;

11. ნაშრომის საბოლოო შეფასება ეცნობება სტუდენტს არაუგვიანეს კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების მომდევნო დღისა.

12. ნაშრომი კომპონენტის წარმატებით შესრულების შემთხვევაში, რაც გამოიხატება ერთ-ერთი დადებითი შეფასების (51- 100 ქულა) მიღებით, სტუდენტს ენიჭება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისიწინებული კრედიტი ნაშრომის კომპონენტში.

13. 2. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი –91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი –81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი –71-80 ქულა;
ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი –61-70 ქულა;
ა.ე) (E) საკმარისი –51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:
ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა –41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა უფლება გადამუშავებული ნაშრომი წარადგინოს დამატებითი გამოცდებისთვის განსაზრულ ვადებში;
ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და აღნიშნული შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტი კარგავს იგივე ნაშრომის წარდგენის უფლებას. 14. საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიაზე წარდგენის წინაპირობაა შესაბამისი მიმართულების მიერ წინასწარი მოსმენის საფუძველზე გაცემული რეკომენდაცია. წინასწარი მოსმენის ეტაპზე ნაშრომის ხელმძღვანელი წარმოადგენს დასკვნას სტუდენტის მიერ შესრულებულ ნაშრომში აკადემიური კეთილსინდისიერების და საავტორო უფლებების პრინციპების დაცვის შესახებ.
15. შესაბამისი მიმართულება რეკომენდაციას წარუდგენს ფაკულტეტის დეკანს მიმართულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი სხდომის ოქმის სახით დაცვამდე 2 კვირით ადრე.
16. მიმართულების სხდომაზე გამოიყოფა რეცენზენტი, რომელსაც გადაეცემა დასრულებული (აკინძული) ნაშრომი დაცვამდე 1 კვირით ადრე (საბაკალავრო ნაშრომის შემთხვევაში), 10 დღით ადრე (სამაგისტრო ნაშრომის შემთხვევაში). რეცენზენტი საბაკალავრო ნაშრომს აფასებს 30 ქულის ფარგლებში, ხოლო სამაგისტრო ნაშრომის თითოეულ კომპონენტს აფასებს 50 ქულის ფარგლებში, სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასება მიიღება საშუალო არითმეტიკულით. 17. სამაგისტრო ნაშრომის რეცენზია ჩაბარდება დეკანს შემოქმედებითი პროექტის წარდგენის შემდეგ, თეზისის დაცვამდე (შემოქმედებითი პროექტის დაცვისას რეცენზენტი ვალდებულია დაესწროს პროცესს).
18. სტუდენტი ფაკულტეტის დეკანს დაცვამდე 1 კვირით ადრე წარუდგენს წესის შესაბამისად გაფორმებული ნაშრომის 2 ეგზემპლარს (ამობეჭდილს და აკინძულს, ასევე 2 CD-ზე ჩაწერილს) და ნაშრომის დასაცავად წარადგენს მიმართულების ხელმძღვანელის რეკომენდაციას, მიმართულების სხდომის ოქმის სახით.
19. სტუდენტის მიერ წარმოდგენილი ნაშრომის ელექტრონული ვერსია ეგზავნებათ დაცვის კომისიის წევრებს დაცვამდე 5 დღით ადრე.
20. დაცვამდე 1 დღით ადრე მიმართულების ხელმძღვანელთან შეთანხმებით დგინდება სტუდენტთა გამოსვლის რიგითობა ანბანით.
21. დაცვამდე 2 დღით ადრე სტუდენტს გადაეცემა რეცენზია საკუთარ ნამუშევარზე.
22. კომპოზიციის და მუსიკის ტექნოლოგიის საბაკალავრო ნაშრომების დაცვა იმართება ცალცალკე და აფასებს სხვადასხვა კომისია (სპეციფიკიდან გამომდინარე), კომისია წინასწარ ეცნობა რეცენზიას, სტუდენტს ეძლევა 15 წუთი საკუთარი ნაშრომის წარსადგენად;

23. კომპოზიციის და მუსიკის ტექნოლოგიის სამაგისტრო ნაშრომის თითოეული კომპონენტის წარდგენა/დაცვა იმართება სხვადასხვა დღეს. ჯერ შემოქმედებითი პროექტის, რომელიც კონცერტის ფორმატში უნდა იყოს წარმოდგენილი, და შემდეგ თეზისის დაცვა.

24. კომპოზიციისა და მუსიკის ტექნოლოგების სამაგისტრო ნაშრომის შემოქმედებითი პროექტის წარდგენა შესაძლებელია გაიმართოს ერთი კონცერტის ფარგლებში და შეფასდეს სხვადასხვა კომისიის მიერ. ასევე შესაძლებელია კომპოზიციის შემოქმედებითი პროექტის დაცვა ინტეგრირებული იყოს რაიმე დაგეგმილი მიმდინარე კონცერტის დროს, როდესაც სრულდება მაგისტრის ხარისხის მაძიებლის შემოქმედებით პროექტში წარმოდგენილი საორკესტრო ნაწარმოები. 25. სამაგისტრო ნაშრომის კომპონენტის, შემოქმედებითი პროექტის, შეფასება ხდება თეზისის დაცვისას, სტუდენტის პრეზენტაციის შემდეგ, რომელიც შესაძლოა იყოს სხვა დღეს, ამიტომ კომისიის წევრები ნიშნის ოფიციალურად გაფორმების გარეშე, პირობითად ჩაინიშნავენ საკუთარ გადაწყვეტილებას, რომელიც შესაძლოა თეზისის პრეზენტაციის შემდეგ იქნას კორექტირებული, რაც აისახება საბოლოო ქულაზე.

26. მაგისტრის ხარისხის მაძიებელ სტუდენტს თეზისის დაცვისას კომისიის წინაშე ნაშრომის პრეზენტაციისთვის ეძლევა 15 წუთი. პრეზენტაცია უნდა მოიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას: ნაშრომის სტრუქტურა და შემოქმედებით პროექტთან ერთიანობის აღწერა, დასახული მიზნები და ამოცანები, მიღწეული შედეგები;

27. სტუდენტის გამოსვლის შემდეგ კომისია ისმენს რეცენზიას, რის შემდეგაც ავტორი პასუხობს შენიშვნებს და შეკითხვებს;

28. დაცვის პროცედურა სრულდება კომისიის წევრთა და დამსწრე საზოგადოების შეკითხვებით და შენიშვნებით (არსებობის შემთხვევაში), რასაც მოსდევს სტუდენტის პასუხები. აღნიშნულის შემდეგ სტუდენტის მუშაობის დახასიათებას იძლევა სამეცნიერო ხელმძღვანელი;

29. კომისიის წევრთა შეფასებები ფორმდება წერილობითი სახით და ინახება დაცვის შედეგების ოქმთან ერთად. 30. ნაშრომის დაცვის შემდეგ ფაკულტეტის დეკანი სტუდენტის ნამუშევარის ელექტრონულ ვერსიას გადასცემს კონსერვატორიის ბიბლიოთეკას.

დანართი 1. საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის საკონსულტაციო გეგმის ფორმა

სტუდენტის საკონსულტაციო გეგმა

კონსულტანტის სახელი, გვარი (აკადემიური პოზიციის მითითებით)

სფერო, რომელშიც ხორციელდება კონსულტაცია	საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, რომელზეც სწავლობს სტუდენტი სასწავლო სემესტრი (მაგ: გრაფიკული პარტიტურები)

სტუდენტის სახელი გვარი

კონსულტაციის ფორმატი (ონლაინ, ოფლაინ, სემესტრული, ინტენსიური)

საკონსულტაციო საკონტაქტო
საათების რაოდენობა

(წარმოადგინეთ საკონტაქტო საათების რაოდენობის შესაბამისად
საკონსულტაციო შეხვედრებზე განსახილველი საკითხების
ჩამონათვალი

(წარმოადგინეთ საკონტაქტო საათების რაოდენობის შესაბამისად
გაწერილი თემების ჩამონათვალი)

დანართი 2ა. საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები და ფორმა

(რეცენზენტის და კომისიის წევრისთვის)

სტუდენტის სახელი და გვარი_____
რეცენზენტის სახელი და გვარი _____
ნაშრომის სათაური_____
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება და საფეხური _____
აკადემიური წელი _____

შემოქმედებითი პროექტი(30 ქულის ფარგლებში)

№	შეფასების კრიტერიუმი	მიღებული შეფასება	რეცენზენტის კომენტარი

1.	ორიგინალური მუსიკალური/მხატვრული მასალა (საავტორო უფლებების გათვალისწინება) – 6 ქულა		
2.	ინსტრუმენტული შესაძლებლობების /აუდიო კომპიუტერული პროგრამების-ტექნოლოგიის შესაძლებლობების, ფლობა – 6 ქულა		
3.	ნაშრომის ნოტაციის ფორმასთან რელევანტურობა (კომპოზიცია) /ელექტრო-აკუსტიკური და/ან აუდიო-ვიზუალური ნაშრომის ტექნიკური გამართულობა და პრეზენტირება (ტექნოლოგია) - 6 ქულა		
4.	საკუთარი ნაშრომის ანოტაციის უნარი – 6 ქულა		
5.	ნაშრომის დრამატურგიული გამართულობა მუსიკალური ფორმის ფარგლებში – 6 ქულა		
		საბოლოო შეფასება	

თარიღი:

რეცენზენტის/კომისიის წევრის ხელმოწერა:

დანართი 2ბ. მუსიკის ტექნოლოგიის პროგრამის საბაკალავრო ნაშრომის (ესსე) რეცენზენტის და

კომისიის წევრის მიერ შეფასების კრიტერიუმები და ფორმა)

სტუდენტის სახელი და გვარი_____

რეცენზენტის სახელი და გვარი _____

ნაშრომის სათაური_____

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება და საფეხური _____

აკადემიური წელი _____

ესსე (30 ქულის ფარგლებში)

№	შეფასების კრიტერიუმი	მიღებული შეფასება	რეცენზენტის კომენტარი
1.	ნაშრომის ფორმალური მხარე (სტანდარტთან შესაბამისობა გაფორმების, ციტირების, სარჩევის, ანოტაციის და სხვ მიმართებაში, მათ შორის ხელმძღვანელის მიერ წარდგენილი ინფორმაცია Turnitin-ის სისტემაში ნაშრომის გატარების შედეგების შესახებ) – 6 ქულა		
2.	საკითხის აქტუალობა ტექნოლოგიური სიახლის თვალსაზრისით და პრობლემის დაყენების უნარი –6 ქულა		
3.	ნაშრომის მიზნის, ამოცანების, მეთოდოლოგიისა და ნაშრომის შედეგების რელევანტურობა - 6 ქულა		
4.	კვლევის, ანალიზის, არგუმენტირებისა და დასკვნების უნარი –6 ქულა		
5.	ნაშრომის პრაქტიკული გამოყენების პოტენციალი – 6 ქულა		
		საბოლოო შეფასება	

თარიღი:

რეცენზენტის/კომისიის წევრის ხელმოწერა:

დანართი 2გ. სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტის მიერ შეფასების კრიტერიუმები და ფორმა

სტუდენტის სახელი და გვარი_____
რეცენზენტის სახელი და გვარი _____
ნაშრომის სათაური_____
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება და საფეხური _____
აკადემიური წელი _____

შემოქმედებითი პროექტი (50ქულის ფარგლებში)

№	შეფასების კრიტერიუმი	მიღებული შეფასება	რეცენზენტის კომენტარი
1.	ორიგინალური მუსიკალური/მხატვრული მასალა, შემოქმედებითი ინდივიდუალური მიდგომა და გადაწყვეტა (საავტორო უფლებების გათვალისწინება) – 10 ქულა		
2.	შემოქმედებითი პროექტის კვლევის საკითხთან შესაბამისობა და (ექსპერიმენტის) შედეგის პრაქტიკული დემონსტრირება –15 ქულა		
3.	კვლევის საკითხის აქტუალობა და საკომპოზიციო/ტექნოლოგიური ტენდენციების ორიგინალურად გამოყენების უნარი –15 ქულა		
4.	კვლევის დაგეგმილი მეთოდოლოგიის პრაქტიკულ ნაწილში განხორციელება და შედეგში ასახვა - 10 ქულა		
		საბოლოო შეფასება	

თეზისი (50 ქულის ფარგლებში)

№	შეფასების კრიტერიუმი	მიღებული შეფასება	რეცენზენტის კომენტარი
6.	ნაშრომის ფორმალური მხარე (სტანდარტთან შესაბამისობა გაფორმების, ციტირების, სარჩევის, ანოტაციის და სხვ მიმართებაში, მათ შორის ხელმძღვანელის მიერ წარდგენილი ინფორმაცია Turnitin-ის სისტემაში ნაშრომის გატარების შედეგების შესახებ) – 10 ქულა		
7.	ფაქტობრივი მასალის ფლობა –10 ქულა		
8.	ნაშრომის მიზნის, ამოცანების, მეთოდოლოგიისა და ნაშრომის შედეგების რელევანტურობა - 10 ქულა		
9.	კვლევის, ანალიზის, არგუმენტირებისა და დასკვნების უნარი –10 ქულა		
10.	ნაშრომის ენობრივი და სტილისტური გამართულობა – 10 ქულა		
		საბოლოო შეფასება	

თარიღი:

რეცენზენტის ხელმოწერა:

დანართი 3. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის მიერ შეფასების ფორმა

სტუდენტის სახელი და გვარი _____

კომისიის წევრის სახელი და გვარი _____

ნაშრომის სათაური _____

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება და საფეხური _____

აკადემიური წელი _____

შემოქმედებითი პროექტი (50ქულის ფარგლებში)

№	შეფასების კრიტერიუმი	მიღებული შეფასება	რეცენზენტის კომენტარი
1.	ორიგინალური მუსიკალური/მხატვრული მასალა, შემოქმედებითი ინდივიდუალური მიდგომა და გადაწყვეტა (საავტორო უფლებების გათვალისწინება) – 10 ქულა		
2.	შემოქმედებითი პროექტის კვლევის საკითხთან შესაბამისობა და (ექსპერიმენტის) შედეგის პრაქტიკული დემონსტრირება –10 ქულა		
3.	კვლევის საკითხის აქტუალობა და საკომპოზიციო/ტექნოლოგიური ტენდენციების ორიგინალურად გამოყენების უნარი –10 ქულა		
4.	კვლევის დაგეგმილი მეთოდოლოგიის პრაქტიკულ ნაწილში განხორციელება და შედეგში ასახვა - 10 ქულა		
5.	შემოქმედებითი პროექტის ორგანიზებისა და შესრულების ხარისხი (მაგალითად, ავტორის მიერ შემსრულებლებთან კომუნიკაცია/ ციფრული აუდიო ტექნოლოგიების ფლობა და ა.შ.) -10 ქულა		

საბოლოო შეფასება	

თეზისი (50 ქულის ფარგლებში)

№	შეფასების კრიტერიუმი	მიღებული შეფასება	რეცენზენტის კომენტარი
1.	ნაშრომის შინაარსობრივი მხარე (30 ქულა): ●საკვლევი საკითხის აქტუალობა - 5 ქულა; ●კვლევის მეთოდოლოგია, პირველადი/მეორადი მონაცემების ანალიზის სიცხადე – 5 ქულა ●თეორიის და ემპირიული მასალის საკვლევი საკითხის რელევანტური თეორიების, პრინციპებისა და ფაქტობრივი მასალის ცოდნა და კრიტიკული გააზრება–10 ქულა; ●ანალიზის, არგუმენტებისა და დასკვნების გამართულობა -10 ქულა;		
2.	პრეზენტაციის შინაარსობრივი მხარის შეფასება (20 ქულა): ●საპრეზენტაციო მოხსენების რელევანტურობა ნაშრომის შინაარსთან– 5 ქულა ●არგუმენტირებული მსჯელობა – 5 ქულა ●აუდიტორიასთან კომუნიკაცია ეთიკის სტანდარტების გათვალისწინებითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით–10 ქულა		
		საბოლოო შეფასება	

თარიღი:

კომისიის წევრის ხელმოწერა: